ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3155552

ნომერი: AR1486423

თარიღი : 14.03.2017

გაცემის თარიღი : 22.03.2017

გაცნობის თარიღი : 22.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ გენებაშვილი პ/ნ 31001000427
- თბილისი ს. დიღომი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი" - მოთხოვნის ტექსტში ვრცლად დააკონკრეტეთ საპროექტო ობიექტის ფუნქცია, რისთვის იქნება განკუთვნილი
2. გაურკვეველია თქვენი უფლებამოსილების საკითხი. გაითვალისწინეთ: სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, უნდა წამოადგინოთ მესაკუთრის (თქვენს შემთხვევაში შპს "დიღმის სავანე"-ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ზურაბ ჯანელიძის) მიერ თქვენს სახელზე გაცემული სათანადო მინდობილობა (მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში) ან შესაძლებელია მესაკუთრე (ზურაბ ჯანელიძე) დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად;
3. ვინაიდან საპროექტო დროებითი საძირკვლის არ მქონე ჯიხურის განთავსების ადგილთან გადის წყალმომარაგების მილი (საჯარო რეესტრიის ამონაწერის მიხედვით მესაკუთრე არის სახელმწიფო), შესაბამისად წარმოსადგენია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა დროებითი საძირკვლის არ მქონე ჯიხურის განთავსების თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.